

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N51

ქ.თბილისი

28 იანვარი, 2025 წელი
15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	ნათია მოდებაძე
ლევან არველაძე	შალვა ოგბაიძე
მარიამ გელაშვილი	ვიტალი ონიანი
ოთარ გრიგოლია	გურამ ოქროპირიძე
ლევან დავითაშვილი	ნინო რუხაძე
ნინო ვარდოსანიძე	რევაზ სოხაძე
კონსტანტინე ზარნაძე	თამარ ჩახვაშვილი
მარიამ ზაქარიაშვილი	ზურაბ ჩიკვილაძე
ანა კაკაბაძე	გივი ჩხარტიშვილი
ნიკოლოზ კახეთელიძე	ავთანდილ ცინცაძე
ანა კილაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
კახაბერ ლაბუჩიძე	ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი ნინო ჯაფარიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი გიორგი კობიაშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და განაცხადა, რომ „განელდა აქციების დრამატურგია“, რაშიც თავისი წვლილის შეტანა სცადა რამდენიმე ოდიოზურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, თუმცა, საბედნიეროდ, არაფერი გამოუვიდათ. ვხედავთ, რომ გარკვეული ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში სარგებლობენ მაღალი თანამდებობის უპირატესობით, ცდილობენ საქართველოში არეულობის კვლავინდებურად შემოტანას და მიმართა მათ: „ეს მატარებელი ჩავლილია... თქვენ, ერთადერთი რაც დაგრჩენიათ, არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან გააგრძელოთ მუშაობა, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება წარმოადგენს ქართველ ხალხს და ქართველმა ხალხმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს სუვერენული და ამ სუვერენიტეტის მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე სხვა ფსევდოღირებულებები, რომლებზეც მიდის აპელირება.“ ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას, რომ განიხილოს საქართველოს დელეგაციის ლეგიტიმურობა ევროსაბჭოში. აღნიშნა, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს მიულოცა თანამდებობაზე დანიშვნა, რაც, მისი თქმით, ნიშნავს იმას, რომ „გაერომ პირდაპირ აღიარა საქართველოს არჩევნები“, ასევე, პირდაპირი და ირიბი ზეწოლების მიუხედავად, თანამშრომლობაზე მზაობა ცალსახაა ეუთოს მხრიდან და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რას ეფუძნება ის „მასკარადი, რომელიც ახლა მიმდინარეობს სტასბურგში და რომელიც მიზნად ისახავს ქართული დელეგაციის და საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფას“. აქვე განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამას ხელს შეუშლიან და გონივრულობის ფარგლებს დაუბრუნდება ის პროცესი, რომელიც დაიწყო ქართულმა ოპოზიციამ, რომელიც ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნის განვითარებას და წინსვლას. ოთარ გრიგოლიამ, ასევე, ისაუბრა საქართველოს დელეგაციის ვიზიტზე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და განაცხადა, რომ განხორციელებული შეხვედრების ფარგლებში მიღებული იქნა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ საქართველოში განხორციელდება ექვსი მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია და ამის საპირწონედ, ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ემსახურებიან სხვა ქვეყანას, ცდილობენ ამ პროცესის ჩაშლას, რაც თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ისინი ცდილობენ ხელი შეუშალონ საქართველოში ფულის შემოდიანებას, ქართველი ხალხის დასაქმებას და ქვეყნის კეთილდღეობას. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რა შეიძლება იყოს „ამაზე უფრო დიდი ბოროტება“ და ფიქრობს, დროა, თითოეულმა ჩვენგანმა სახელი დაარქვას იმას, რაც ხდება საქართველოში და ეს არის ის, რომ საზოგადოების ძალიან მცირე ჯგუფი, რომელმაც ვერ მოახერხა რევოლუციის მოხდენა, ცდილობს ქვეყანაში ყველაფერი არიოს, მაგრამ მათ არაფერი გამოუვათ, რადგან დღევანდელი ხელისუფლება არის ძლიერი, საქართველოს მთავრობას აქვს ხალხის მხარდაჭერა და ქართველი ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებს ამ პროცესზე.

ლევან არველაძემ აღნიშნა, რომ გუშინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, აბუ-დაბიში გააფორმა მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს ექვსი მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ბათუმსა და გონიოში, რაც სასიხარულო ამბავია, რადგან დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ დარგისთვის, სადაც ინვესტიციები განხორციელდება, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისთვის და ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებისთვის.

ნათია მოდებაძემ განაცხადა: „მინდა საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს, უმრავლესობას, მივმართო და უბრალოდ ვუთხრა მადლობა იმისთვის, რომ მხარს უჭერთ სტაბილურობას. იმისთვის, რომ უძლებთ, დღევანდელ რეალობაში, არნახულ ჩავგვრას,

შეურაცხყოფას. მადლობა თქვენ იმისთვის, რომ გიყვართ სამშობლო და აქ არ არის რომელიმე პარტიასა და ხელისუფლებაზე საუბარი, თქვენ იცავთ თქვენს სამშობლოს, თქვენს პოზიციას ღირსეულად, განსხვავებით თქვენი ოპონენტებისგან. მადლობა ერთგულებისთვის, მადლობა თანადგომისთვის და მადლობა იმისთვის, რომ ყველაფერს აკეთებთ მხარში დაუდგეთ ხელისუფლებას, რომელიც თავის მიზანს ღირსებით, სიმშვიდით, სტაბილურობით მიაღწევს უახლოეს მომავალში და თქვენ იქნებით ამის თანამონაწილე“.

ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერიას და მის სამსახურებს, გასულ წელს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ 2024 წლის ბოლოს საკრებულომ შეაჯამა წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები და მისი შედეგები. აქვე, ისაუბრა იმაზე თუ რა ხდება დღეს და განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც იზრდება ქვეყნის და დედაქალაქის ბიუჯეტი, როგორ შეიძლება ვისაუბროთ კრიზისზე და ქვეყნის უკუსვლაზე. შესაბამისად, თუ ვიმნეს ეს აწყობს, აწყობს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე, გარე მტრებს - იმ ადამიანებს, რომლებსაც არ უნდათ, რომ ქვეყანა ვითარდებოდეს იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ვითარდება. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, ჩვენ ვნახეთ ე.წ. ჩვენი ქვეყნის მხარდამჭერების მიერ გაკეთებული განცხადებები და კარგად ვხვდებით, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ასეთი სისტემატური განცხადებები არა მარტო „საეჭვო“, არამედ „ბანალური და კომიკური“, რადგან წარმოუდგენელია, თუ როგორ ახერხებენ ასე სკრუპულოზურად თვალის მიდევნებას ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისთვის. აქვე განაცხადა, რომ სუვერენიტეტის თემა არის და იქნება ჩვენი ქვეყნის ქვაკუთხედი, ჩვენი ქვეყნის განვითარების ეტაპზე, სწორედ ახლა გავდივართ ყველაზე რთულ პერიოდს და დარწმუნებულია, საქართველოს ხელისუფლება გადალახავს ამ პერიოდს იმიტომ, რომ მის უკან არის გაკეთებული საქმეები და გააგრძელებს ქვეყნის აღმშენებლობას, დედაქალაქის განვითარებას და ქვეყანაში სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, მათ შორის, არაბთა გაერთიანებული საამიროს მხრიდან განსახორციელებელ პროექტს. ისაუბრა ოპოზიციის წარმომადგენლებზე და განაცხადა, რომ მათი ნაწილი ცხოვრობს პროტესტში და მიაჩნია, რომ ამ ქვეყანაში არაფერი უნდა მოხდეს მანამ, სანამ ისინი არ მოვლენ ხელისუფლებაში, რაც აბსურდია, რადგან არ შეიძლება ყველა არჩევნებში დამარცხების შემდეგ ითხოვდნენ ახალი არჩევნების დანიშვნას. საუბრის ბოლოს, სახელისუფლებო გუნდს და ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა, იდგნენ მტკიცედ, რადგან ეს ყველაფერი გადაივლის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და წარმატებები უსურვა დედაქალაქს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“;
მომხსენებელი: ნინო ჯაფარიძე
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“;
მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“;
მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი
7. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი
8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელირიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

11. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

12. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.010-ის ნაწილი; N72.16.17.881; N72.16.17.882; N72.16.17.883; N72.16.17.886; N72.16.17.887) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

13. „ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13ა, N13გ, N13ბ; ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქუჩასა და მდ. ვერეს შორის, გაერთიანება „სამთო ქიმი“-სა და „საქჰიდროენერგომშენი“-ს მშენებარე სახლის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, შესახვევი N55; ქალაქი თბილისი, წყნეთის ქუჩა N57ა, N57; ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N13ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: NN01.14.14.001.121; 01.14.14.001.122; 01.14.14.001.123; 01.14.14.001.124; 01.14.14.001.125; 01.14.14.001.126; 01.14.14.001.127; 01.14.14.001.026; 01.14.14.001.087; 01.14.14.001.088; 01.14.14.001.090; 01.14.14.001.094; 01.14.14.001.095; 01.14.14.001.097; 01.14.14.001.207; 01.14.14.001.918) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.006.135) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N26 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

15. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, N1, N5, N7; ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.241; N72.16.23.026; N72.16.23.042; N72.16.23.065; N72.16.23.064; N72.16.23.043; N72.16.23.044) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

16. „ქალაქ თბილისში, იალბუჯის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისის, ორთაჭალჰესის მიმდებარედ არსებულ ჭაბურღილთან; ქალაქი თბილისი, ლევილის სანაპირო N1; ქალაქი თბილისი, 300 არაგველის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.13.058.005; N01.17.13.058.001; N01.17.13.058.002; N01.17.13.058.003; N01.17.13.058.004) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

17. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.96.607; N81.02.95.411; N81.02.02.305; N81.02.02.570; N81.02.02.318)

და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

18. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.94.034; N81.02.00.670; N81.02.19.919; N81.02.19.920) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

19. „ქალაქ თბილისში, არბოს ქუჩა, N16ა, N16, N16ბ, N20, N18ე, N18ზ, 18დ, N18; N14; N14ა, N18, N20ა, N12ა, N20დ, N18ა; ქალაქი თბილისი, ვარდისუბნის ქუჩა, N15ა; N17; N19; N23; N25-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.12.08.005.052; 01.12.08.005.053; 01.12.08.005.051; 01.12.08.005.008; 01.12.08.005.046; 01.12.08.005.057; 01.12.08.005.070; 01.12.08.005.048; 01.12.08.005.045; 01.12.08.005.056; 01.12.08.005.047; 01.12.08.005.060; 01.12.08.005.054; 01.12.08.005.003; 01.12.08.005.064; 01.12.08.005.061; 01.12.08.005.055; 01.12.08.005.059; 01.12.08.005.049; 01.12.08.005.058; 01.12.08.005.040; 01.12.08.005.067; 01.12.08.005.071) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე; ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.33.172; N72.16.15.289; N72.16.33.068; N72.16.23.588; N72.16.23.589; N72.16.23.590) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

21. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N56; ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისის ტერიტორია, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.028; N72.16.23.061; N72.16.15.290; N72.16.23.180; N72.16.23.183; N72.16.23.182; N72.16.23.184) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

22. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.08.010.029, ფართობი - 1515 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, შატილის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.03.003.056, ფართობი - 757 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.187, ფართობი - 18664 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.187, ფართობი - 18664 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N421 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, გალის ქუჩა N17-ში მდებარე 1602 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ. N01.15.02.054.081) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

28. „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

29. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020.01.653) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

30. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N22-ში მდებარე N11 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.089.04.01.011) და ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ვეფხისტყაოსანის ქ.N22, N24-ში მდებარე N50 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

31. „ქ.თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N3-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.062.024) გიორგი დანელიასთვის (პ/ნ. 01024044554) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

32. „ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი N7-ის მიმდებარედ 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.070) პირდაპირი განკარგვის წესით, ოლღა ლაგვილავასთვის (3/ნ. 01011062112) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

34. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ერეკლე II მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის ტერენტი გრანელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

35. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან VII კვარტალში კორპ. N3 მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის ექიმის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

36. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის ოფიცრის გენო ქარუმიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

37. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ ოთარ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

38. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მეფე მირიანის ქუჩისთვის მირიან მეფის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

39. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

40. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ნინო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორის, აღმირალის გიგლა ირემაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

41. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის მიხეილ ქორიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

42. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის ლევან ჭოჭუას I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

43. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მაჩაბლის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გიორგი მაჩაბლის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს 2025 წლის ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის ასახვას, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 209000000 ლარით, რის შედეგადაც ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ხდება 2192872000 ლარი. გარდამავალი ნაშთის სახით წარმოდგენილი თანხიდან 80000000 ლარი ემატება 2024 წლიდან გადმოყოლილ ვალდებულებებს, 80000000 ლარი გადანაწილებულია შემდეგნაირად: „ეკო სერვისს“ ემატება 7000000 ლარი, გარემოს დაცვას - 6000000 ლარი, ბაღების სუბსიდიას - 17000000 და ტრანსპორტის სუბსიდიას - 50000000 ლარი. ამასთანავე, თანხა გათვალისწინებულია ახალი პროექტებისთვის და გადანაწილებულია გამგეობებზე.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 209000000 ლარით და აღწევს უპრეცედენტოდ მაღალ ნიშნულს, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს დიდ შესაძლებლობას, რომ განახორციელოს კიდევ უფრო მეტი სასიკეთო საქმე თბილისელებისთვის და 2025 წელი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და წარმატებული იყოს ქალაქის განვითარების მიმართულებით.

გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, საუბარი იყო მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამაში ჩართული ადამიანების ანაზღაურების ზრდაზე, რასაც ქალაქის მერმა მხარი დაუჭირა და დღევანდელი ცვლილებებით 10%-იანი ზრდის ნაცვლად, წარმოდგენილია 20%-იანი ზრდა, რისთვისაც მაღლობა გადაუხადა კახა კალაძეს. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი გააგრძელებს იმ პროგრამების მხარდაჭერას, რომლებიც ემსახურება დედაქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას და რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის ჩართვას სპორტში.

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტი არის უპრეცედენტოდ გაზრდილი და მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას კიდევ უფრო „დაამშვენოს და გაალამაზოს დედაქალაქი“. განაცხადა, რომ ამ ეტაპზე, 2025 წლის ბიუჯეტიდან, გამოყოფს ორ თემას: პირველი არის ის, რომ ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ერთ-ერთ პარკში, რომლის ტერიტორია მოიცავს 2 ჰექტარს, შემოდგომაზე განთავსდება ერეკლე მეფის ძეგლი, რისთვისაც გამოყოფილია 5000000 ლარი და მეორე - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 13500 თანამშრომელს, ხელფასის 10%-იან ზრდასთან ერთად, საქართველოს მთავრობამ, ერთ მთლიან განაკვეთზე დაუმატა 125 ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მათი ხელფასები გაიზარდა 25%-ით. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ გაგრძელდება ქვეყნის და დედაქალაქის განვითარება და სრულ მხარდაჭერას უცხადებს ბიუჯეტის წარმოდგენილ ცვლილებებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის 100 წელს მიღწეული მოქალაქეებისთვის ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესში, რომლის თანახმად, ფულადი დახმარება გაიზარდა 10000 ლარამდე და დაზუსტა, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნებიან მოქალაქეები, კერძოდ, ესენი არიან ის პირები, რომლებსაც შეუსრულდათ 100 წელი და მუნიციპალიტეტისთვის მომართვამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჰქონდათ უწყვეტი რეგისტრაცია თბილისის ტერიტორიაზე. ასევე, დადგინდა იმ დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც უნდა წარმოადგინოს პირმა იმისთვის, რომ მიიღოს ხსენებული თანხა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ჯაფარიძემ და განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დაგეგმილია რეორგანიზაცია და შესაბამისად, წარმოდგენილია არქიტექტურის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყებაზე თანხმობის მიღების საკითხი, რათა სამსახურმა, 2025 წლის პირველი თებერვლიდან, შეძლოს რეორგანიზაციის პროცესის დაწყება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია რამდენიმე სსიპ-ს რეორგანიზაციის საკითხი, რაც დაკავშირებულია არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან, არამედ, სწორ მართვასთან და მენეჯმენტთან, რადგან ბოლოს ჩატარებული რეორგანიზაციების შემდეგ, ამ სამსახურებში განხორციელდა სხვადასხვა ფუნქციების დამატება და კორექტირება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა გიორგი კობიაშვილმა და განაცხადა, რომ დედაქალაქისთვის მიუსაფარი ცხოველები საკმაოდ დიდი გამოწვევაა, რაც საჭიროებს აქტიურ კონტროლს და მონიტორინგს და შესაბამისად, წარმოდგენილია სააგენტოს რეორგანიზაციაზე თანხმობის მიღების საკითხი, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს კანონმდებლობით გავალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ 2024 წელთან შედარებით, 2025 წელს გამოიკვეთა მეტი დასვენების და უქმე დღეების რაოდენობა, რის შედეგადაც შეიცვალა M₂ კატეგორიის მარშრუტებზე ყოველთვიური გარბენი კოლომეტრებში და შესაბამისად, იცვლება წლიური ჯამი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა

და განმარტა, რომ შპს „ბრიტანულ-ქართული აკადემიის“ და შპს „ბრიტანული საერთაშორისო სკოლის“ დირექტორების მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, როგორც მოსწავლეთა, ასევე, დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით, წარმოდგენილია სკოლის კუთვნილი ავტობუსებისთვის მარშრუტების დამტკიცება. ამასთანავე, ზოგიერთმა სკოლამ მიუთითა სარეზერვო ავტობუსები, რომელთა ჩამატებაც ხდება მარშრუტებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელირიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გადახდილი აქვთ უბილეთოდ მგზავრობისთვის გამოწერილი ჯარიმის თანხა და მითითებული არ აქვთ ჯარიმის ნომერი, გადახდა ჩაეთვლებათ ვადაში განხორციელებულად. აქვე აღნიშნა, რომ განკარგულებაში მითითებული ვადის გადაწევა ერთხელ უკვე განხორციელდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ კვლავ ფიქსირდება მოქალაქეების მომართვიანობა, წარმოდგენილია ვადის გაგრძელება პირველ თებერვლამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დადგენილების ამოქმედების ვადის ცვლილება, კერძოდ, 2025 წლის პირველი თებერვლის ნაცვლად, იქნება 2025 წლის პირველი მარტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

